ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 140

ქ. თბილისი 15 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს „მარკეტი დიდგორი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების I-IV კლასის მოსწავლეთა და ა.ა.ი.პ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" აღსაზრდელებისთვის საჭირო საახალწლო სასაჩუქრების შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 10849,30 (ათი ათას რვაას ორმოცდაცხრა და 30 თეთრს) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებას, მისი გადაცემასთან დაკავშირებულ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. დაფინანსების წყარო – 2016 წლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება_მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:
3.1. 2016 წლის 14 დეკემბრიდან 2016 წლის 17 დეკემბრამდე უზრუნველყოს შემსყიდველისათვის დანართი N1-ით გათვალისწინებული ხარისხიანი საქონლის მიწოდება.
"შემსყიდველი" ვალდებულია:
3.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხიანი საქონლის დროულად გადაცემის შემდეგ ამ ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის ვადაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან და მოთხოვოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

5.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.2%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ა.შ.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.
8.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
8.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
8.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ინსპექტირების პირობები

9.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

10. დავის გადაწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
10.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 15 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრამდე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ს/კოდი: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGEGE22

მიმწოდებელი:
შპს „მარკეტი დიდგორი"
ს/კოდი:430798229
ა/ა GE76LB0113149281655000
სს ლიბერთი ბანკი
ბ/კოდი LBRTGE22

13. მხარეთა ხელმოწერები

ერეკლე ფეხიანიძე
გამგებლის პირველი მოადგილე

ნუნუ ქორაშვილი
შპს „მარკეტი დიდგორი "- დირექტორი

ნიკოლოზ ტატიშვილი
შესყიდვების განყოფილების უფროსის მ/შ

დანართი №1

მოსაწოდებელი საქონლის ნუსხა

№	*საქონლის დასახელება*	*(CPV) კოდი*	*განზომილების ერთეული*	*რაოდენობა*	*ერთეულის ფასი (ლარი)*	*საერთო ფასი (ლარი)*
1.	ბარამბინო- კაკაო	15800000	ცალი	1830	0.5	915
2.	ბარნი	15800000	ცალი	1830	0.91	1647
3.	ჩუპაჩუპსი „ლოლი პოპს"	15800000	ცალი	1830	0.2	366
4.	ნატურალური წვენი „კამპა" (200მლ)	15300000	ცალი	1830	1.1	2013
5.	საახალწლო შუშხუნა	37500000	შეკვრა	1830	0.54	988.2
6.	ბუშტი	37500000	ცალი	3660	0.51	1866.6
7.	ფუმფულა სათამაშო	37500000	ცალი	1830	1.09	1994.7
8.	სასაჩუქრე პარკი	19600000	ცალი	2000	0.5	1000
9.	პოლიეთილენის პარკი	19600000	ცალი	140	0.42	58.8
	ჯამი:					10849.3

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: